

სოფიო კიდაძე: "მედია დაკავებური არაა, სიტუაციას განარიდეს"



თბილისის საკრებულოს წევრი “ნაციონალური მოძრაობიდან” ირაკლი ნადირაძე, რომელიც დღეს პარლამენტთან შსს-მ დააკავა, ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა.

“თუ დამიდებენ ფაქტს, რომ პოლიციელების მიმართ ერთი სიტყვა მაინც მაქვს ცუდად ნათქვამი, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს, თუ არა და ამ ადამიანებმა, ვინც ეს დამაბრადეს, აუცილებლად უნდა აგონ პასუხი”, – ამბობს ნადირაძე.

“ნაციონალური მოძრაობის” წევრის ზაად უღუმაშვილის თქმით, სამართარმდაცველებმა პარლამენტის წინ აქციაზე 10-მდე ადამიანი დააკავეს, მათ შორის ერთი არასრულწლოვანია. როგორც უღუმაშვილმა “იმედს” განუცხადა, დაკავებულები არიან ნიკა მედია, ირაკლი ნადირაძე, დევან ხაბეიშვილი და სხვები.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კიდაძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრი და დეპუტატი ნიკა მედია დაკავებური არ არის, არამედ ის დაძაბულ სიტუაციას გაარიდეს. ამის შესახებ კიდაძემ “ქრონიკის” ეთერში თქვა.



“სრული პასუხისმგებლობით შემოიძღიათ ვითხრათ, რომ ბატონი მეღია არ არის დაკავებული, არც არავის დაუკავებია, უბრალოდ ადგილი ჰქონდა რამდენიმე პირის მხრიდან, მათ შორის მეღიას მხრიდან, პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და მათი კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. აქედან გამომდინარე, ბატონი მეღია, განარიდეს სიტუაციას. ბატონ მეღიას, როგორც პარლამენტარს, მას ბუნებრივია იმუნიტეტი იცავს”, – განაცხადა სოფიო კირაძემ.

პარლამენტის წინ დაკავებული ზვიად კუპრაგასა და კიდევ სამ პირს მოსამართლემ 14-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. ზვიად კუპრაგა, რაშა ცუცქერიძე და კიდევ 2 პირი დღეს დიდით წვრიღმანი ხურიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე დააკავეს.